



**საქართველო**  
**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

N 27 14

24/06/2020

**ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 15 წლის ვადით, გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 15 წლის ვადით გაცემაზე.
2. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) სარგებლობაში უფლებით, იჯარის ფორმით, 15 წლის ვადით გაცემაზე განისაზღვროს შემდეგი პირობები:
  - 2.1 სარგებლობის ფორმა-იჯარა;
  - 2.2 სარგებლობის ვადა - 15 (თხუთმეტი) წელი;
  - 2.3 საწყისი წლიური საიჯარო ქირის ღირებულება- 360 (სამას სამოცი) ლარი;
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1).

გიორგი ივანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.



